ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 165

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის საელჩო საქართველოში შორის „ქ. თბილისი, ატენის ქ. №16-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და წყნეთი, აფხაზეთის ქ. №23-ში ორი კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობის შესახებ” საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის, მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 3 მაისის №23.630.693. განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის საელჩო საქართველოში შორის ,,ქ. თბილისი, ატენის ქ. №16-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და წყნეთი, აფხაზეთის ქ. №23-ში ორი კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობის შესახებ'' საგრანტო ხელშეკრულების პროექტი ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ერთი მხრივ ჩინეთის საელჩო საქართველოში, წარმოდგენილი ჭოუ ციენი-ის (zhou qian) მიერ (შემდგომში - „გრანტის გამცემი“), რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვ.ბარნოვის ქ.52 და მეორე მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი კახა კალაძის მიერ (შემდგომში „გრანტის მიმღები“), რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, შარტავას 7, დებენ საგრანტო ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „გრანტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების მიზანი და საგანი

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს გადასცემს ფულად სახსრებს სპორტული მოედნის რეაბილიტაციისთვის, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, ატენის ქ.N16- ში და 2 (ორი) კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობისთვის მისამართზე: წყნეთი, აფხაზეთის ქ.23 (წყნეთის ტყე- პარკის ტერიტორია).

მუხლი 3. საგრანტო თანხის მოცულობა და ანგარიშსწორების პირობები.

3.1. გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიღებაზე გასაცემი თანხა შეადგენს 350,000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ჩინური იუანის ექვივალენტ ლარს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადარიცხვის დღეს არსებული კურსით.

3.2. გრანტის გამცემის მიერ საგრანტო თანხის გადარიცხვა მოხდება ერთჯერადად, უნაღდო ანგარიშსწორების გზით წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების 3.4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ხელშეკრულების 3.2 მუხლით გათვალისწინებული ქმედება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან და ხელშეკრულების 3.4 პუნქტით განსაზღვრული წერილის ჩაბარებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში.

3.4. გრანტის მიმღები ვალდებულია მოითხოვოს შესაბამიში თანხა ოფიციალური წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნის წერილს გრანტის მიმღებმა თან უნდა დაურთოს ბანკის მიერ დამოწმებული ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, სადაც უნდა განხორციელდეს თანხის ჩარიცხვა.

3.5. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშის საფუძველზე მხარეებს შორის ფორმდება მიღება -ჩაბარების აქტი ფინანსური ანგარიშის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. გრანტის მიმღები ვალდებულია

4.1.1. საგრანტო თანხა გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებაში მოცემული მიზნების შესაბამისად.

4.1.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მოცემული მიზნის მიღწევისთვის განახორციელოს აქტივობები 2023 წლის 31 ოქტომბრამდე. აქტივობები განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ.

4.1.3. გრანტის გამცემს წარუდგინოს მიმდინარე და საბოლოო ფინანსური ანგარიშები წერილობითი ფორმით ფოსტის მეშვეობით.

4.1.4. ხელშეკრულების ფარგლებში მის განხორციელებასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, შეუთანხმოს გრანტის გამცემს წერილობითი ფორმით.

4.1.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების/ აქტივობების განხორციელების შეფერხების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს გრანტის გამცემს ამის შესახებ.

4.1.6. უზრუნველყოს ხელშეკრულების ფინანსური დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა გრანტის გამცემის, მისი წარმომადგენლისათვის პროექტის განხორციელების პერიოდში

და მისი დასრულებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში.

4.1.7 სპორტულ მოედანზე განათავსოს აბრა, სადაც მითითებული იქნება, რომ მოედნის რეაბილიტაცია მოხდა გრანტის გამცემის დახმარებით.

4.1.8 პროექტის დასრულების შემდეგ მოაწყოს ცერემონია და მოიწვიოს მედია საშუალებების წარმომადგენლები.

4.2. გრანტის მიმღებს უფლება აქვს:

4.2.1. გრანტის გამცემს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა საგრანტო თანხის დროული გადარიცხვის შესახებ.

4.2.2. პროექტის მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილად შესასრულებლად საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს პროექტის ვადის გაგრძელება გონივრული ვადით. ვადის გაგრძელება არ წარმოშობს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს გრანტის გამცემისთვის. გრანტის მიმღები უფლება აქვს, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს 4.1.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

4.3. გრანტის გამცემი ვალდებულია:

4.3.1. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ამავე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად უზრუნველყოს თანხის დროული გადარიცხვა გრანტის მიმღების საბანკო ანგარიშზე.

4.3.2. გრანტის მიმღების მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.4. გრანტის გამცემს უფლება აქვს:

4.4.1. შეამოწმოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობა გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის გარეშე.

4.4.2. გრანტის მიმღებს მოსთხოვოს საგრანტო წინადადების შესრულების პერიოდული და საბოლოო ფინანსური ანგარიში.

4.4.3. გრანტის მიმღებს მოსთხოვოს გადარიცხული თანხის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 5. გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

5.1. გრანტის მიმღები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებს დამოუკიდებლად. მის საქმიანობაში გრანტის გამცემის ჩარევა დაუშვებელია.

მუხლი 6. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

6.1. გრანტის გამცემს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ გრანტის მიმღები

6.1.1. არამიზნობრივად იყენებს თანხებს.

6.1.2. არ ასრულებს ან არასათანადოდ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამის თაობაზე ეცნობა ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულების 6.1.1 და 6.1.2. მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გრანტის გამცემი დაუყოვნებლივ აფრთხილებს გრანტის მიმღებს წერილობით, რომელშიც მიეთითება ხარვეზის/დარღვევის შინაარსი და მისი აღმოფხვრის ვადის შესახებ.

6.3. თუ გრანტის მიმღები არ აღმოფხვრის წერილში მოცემულ ხარვეზს/დარღვევას მასში მითითებულ ვადაში, გრანტის გამცემს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

6.4. ხელშეკრულების შეწყვეტისას გრანტის გამცემი უფლებამოსილია, გრანტის მიმღებს მოსთხოვოს პროექტის განხორციელების ვადაში არამიზნობრივად გამოყენებული თანხის უკან დაბრუნება მის მიერ მითითებულ რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. თუ რომელიმე მხარეს ფორსმაჟორული გარემოებების გამო ხელი ეშლება, ვერ ასრულებს ან აგვიანებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ვალდებულების შესრულებას, ეს არ უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების პირობების დარღვევად და მხარე უნდა განთავისუფლდეს ამ ვალდებულებებისგან ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის ვადის განმავლობაში იმ პირობით, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან დაგვიანება პირდაპირ კავშირშია ფორსმაჟორულ გარემოებებთან.

7.2. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ფორსმაჟორულ გარემოებად მიიჩნევა სტიქიური მოვლენები, სამოქალაქო არეულობა, ხანძარი, საომარი და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც სცილდება ხელშეკრულების მხარეების კონტროლის ფარგლებს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი კანონმდებლობა.

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის შემთხვევაში მხარეები ეცდებიან მის მოგვარებას მოლაპარაკებებისა და კონსულტაციის გზით.

8.2. ხელშეკრულების 8.1 მუხლის თანახმად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა უფლება-მოვალეობების სრულად განხორციელებამდე.

9.2. ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომელიც გაფორმდება წერილობით და იქნება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

9.3. ხელშეკრულებაში ყველა ცვლილება და დამატება ძალაში შედის მხოლოდ მისი წერილობითი ფორმით გაფორმების შემთხვევაში, რომელიც ხელმოწერით დამოწმებულია მხარეთა მიერ.

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ - ქართულ ენაზე და ჩინურ ენაზე, იურიდიული თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად თვითეული მხარისათვის და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 10. მხარეთა ხელმოწერა

ხელმოწერა:	ხელმოწერა:
თარიღი:	თარიღი:
----- ---------- --	----- ----------
----------	----------
ჩინეთის საელჩო საქართველოში	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი
ჭოუ ციენი-ის (zhou qian) (წარმომადგენელი)	კახა კალაძე (წარმომადგენელი)
მისამართი	მისამართი
საქართველო, თბილისი	საქართველო, თბილისი,
ვ.ბარნოვის ქ.52	შარტავას 7